



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის ნოემბერში საქართველოს ეკონომიკა 5.9%-ით გაიზარდა, წინა თვეში დაფიქსირებული 6.2%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2023 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 6.9%-ით გაიზარდა, რაც თანხვედრაშია ჩვენს 2023 წლის ეკონომიკური ზრდის 6.8%-იან პროგნოზთან. ნოემბერში ზრდა დაფიქსირდა საფინანსო საქმიანობის, მშენებლობის, პროფესიული საქმიანობის და ვაჭრობის დარგებში. ამასთან, რეალური ზრდა შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის, ენერჯეტიკის და ტრანსპორტის დარგებში. ჩვენი საბაზისო სცენარით, საქართველოს ეკონომიკა 5.4%-ით გაიზრდება 2024 წელს, ხოლო 6.0%-ით ოპტიმისტური სცენარით (იხილეთ დეტალები აქ).

ინფლაცია: 2023 წლის დეკემბერში წლიური ინფლაცია 0.4% იყო, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.5% შეადგინა 2023 წელს. დეკემბერში ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნება ძირითადად სურსათის ფასების წლიურმა 3.1%-იანმა კლებამ განაპირობა. ამასთან, დეკემბერში საბაზო ინფლაციამ, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერჯეტიკის და ტაბაკის ფასებს, 1.9% შეადგინა, ხოლო ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ფასების ზრდის ტემპი 3.6%-მდე შენეულა ნოემბერში დაფიქსირებული 3.8%-დან. 2023 წლის დეკემბერში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (-2.7% წ/წ, -0.92პპ), ჯანდაცვა (-3.8% წ/წ, -0.37პპ), ტრანსპორტი (+5.1% წ/წ, +0.65პპ), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (+3.4%, +0.24პპ) და საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი (+2.3%, +0.24პპ). ჩვენი პროგნოზით, 2024 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 3.5%-ის დონეზეა მოსალოდნელი.

მიმდინარე ანგარიში: 2023 წლის იანვარ-სექტემბერში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 2.6% შეადგინა, რაც შემცირებულია გასული წლის ანალოგიურ პერიოდში არსებული მშპ-ის 3.2%-იანი დონიდან. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება ძირითადად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებისა (+29.2% წ/წ) და IT მომსახურების ექსპორტის (+87.0% წ/წ) ზრდამ განაპირობა. დეფიციტი შემცირებაზე ასევე პოზიტიურად მოქმედებდა ტრანსფერტების ბალანსის წლიური 6.4%-იანი ზრდა. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მშპ-ის 5.2%) მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ჩვენი პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის 4.3%-ის დონეზეა მოსალოდნელი 2024 წელს, რაც გაუმჯობესებაა 2023 წლის მოსალოდნელი 4.5%-დან.


საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 17.3%-ით გაიზარდა 2023 წლის ნოემბერში წინა თვის 15.9%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 51.2 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, ნოემბერში სესხების პორტფელის წლიურმა ზრდამ 16.3% შეადგინა (+16.1% ოქტომბერში). სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიურმა ზრდამ, წინა თვის მსგავსად, 19.3% შეადგინა, ხოლო საცალო დაკრედიტება წლიურად 13.7%-ით გაიზარდა (+13.4% ოქტომბერში); 2023 წლის ნოემბერში სესხების დოლარიზაციამ 45.5% შეადგინა (+0.63პპ წ/წ და +0.30პპ თ/თ). 2023 წლის ნოემბერში საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად 17.8%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) 50.4 მლრდ ლარამდე. ვალუტების მიხედვით, ნოემბერში ლარის დეპოზიტები წლიურად 34.6%-ით (+36.9% ოქტომბერში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტები წლიურად 4.9%-ით გაიზარდა (+5.1% ოქტომბერში). შედეგად, ნოემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ 50.8% შეადგინა (-5.97პპ წ/წ და +0.42პპ თ/თ).

ეკონომიკური ინდიკატორები

	2022	2023E
რეალური მშპ-ს ზრდა	10.4%	6.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	20,260	22,202
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	6,676	8,108
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	9.8%	0.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.9	5.2
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.5%	4.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	3.0%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.5%	38.2%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური ზრდის ტემპი



წყარო: საქსტატი, გალტი & თაგარტი

ინფლაცია და რეფინანსირების განაკვეთი საქართველოში



წყარო: საქსტატი, სებ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 3 იანვარს 4-წლიანი 100 მლნ ლარის (37.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.9-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0173პპ-ით შემცირდა და 8.346% შეადგინა.

ასევე, ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 3 იანვარს 6-თვიანი 70 მლნ ლარის (26.0 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.1-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.1213პპ-ით შემცირდა და 8.947% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2024 წლის 9 იანვარს, სადაც 3-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2024 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
1 წლამდე	70	460	370
1 წელზე მეტი	100	3,080	7,601
სულ	170	3,540	7,971


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2023 წლის ნოემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციების გლობალური ბაზრები

გასულ კვირას

- გაიზარდა შემოსავლიანობის მაჩვენებლები როგორც აშშ-ს, ისე ევროპის ობლიგაციების ბაზრებზე. აშშ-ს 10-წლიანი სახაზინოს შემოსავლიანობა 3.87%-დან 4.05%-მდე გაიზარდა, ხოლო გერმანიის 10-წლიანი სახაზინოს (ევროპული ბენჩმარკი) შემოსავლიანობა 2.03%-დან 2.18%-მდე ავიდა.


სახელმწიფო ობლიგაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	1Q24F	2Q24F	3Q24F
US 2y Treasury	4.39	4.42	4.14	3.87
US 5y Treasury	4.02	4.08	3.90	3.73
US 10y Treasury	4.05	4.07	3.95	3.84
US 30y Treasury	4.21	4.27	4.16	4.06
German 2y Bund	2.58	2.80	2.64	2.43
German 10y Bund	2.18	2.53	2.41	2.32

საპროცენტო განაკვეთი, %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2024
SOFR	5.32	5.38	5.33	5.38
EURIBOR (3-თვიანი)	3.92	3.91	3.96	3.91


კორპორაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2024
US Inv. Grade	5.36	5.22	5.57	5.22
Eurozone Inv. Grade	3.82	3.65	3.91	3.67
EM Inv. Grade	5.38	5.22	5.62	5.22
US High Yield	8.16	7.80	8.41	7.80
EM High Yield	10.42	10.12	10.66	10.12

წყარო: Bloomberg
შენიშვნა: სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის პროგნოზებისთვის აღებულია მდლიანური პროგნოზები ტოპ-საინვესტიციო ბანკებისაგან.


FED-ის განაკვეთი (ზედა ზღვარი)




აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი



ECB-ის ძირითადი განაკვეთი



გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: FED, ECB, Bloomberg, გალტ & თაგარტი



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	93.80	5.68	160.70
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Apr-21	Jun-28	BB-/BB-/	92.42	5.97	225.93
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	Mar-19	n/a	B-/-/	100.61	12.75	448.95
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/B1	100.16	8.31	409.13
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-19	Jun-24	BB-/Ba2	99.46	6.97	170.61
TBC PERP	USD	125	10.775%	Jul-19	n/a	B-/-/	99.47	13.23	644.60

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციების ძირითადი მონაცემები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-B+	99.77	6.75
IG Development	USD	15	6.75%	Jan-22	Jan-24	-/-/-	99.97	6.88
IG Development	USD	15	8.50%	Jul-22	Jul-24	-/-/-	99.87	8.75
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-	99.98	8.50
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	99.99	7.00
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B+	100.00	8.50
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-	99.98	9.00
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	99.99	9.00
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.66	8.75
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-23	Jun-25	-/-/-	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.17	8.19
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	101.14	8.63
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-	n/a	n/a
MFO EuroCredit	USD	10	9.50%	Dec-23	Dec-27	-/-/-	n/a	n/a
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	n/a	n/a
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	n/a	n/a
EUR								
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.67	7.25
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
GEL								
Vian (Evex)	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-19	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/-BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-26	-/-/-BB-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტ & თაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტ & თაგარტი



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის

(BGEO LN) აქციები დაიხურა 38.45 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.27% წინა კვირასთან შედარებით და +12.43% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 165 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 38.40 - 40.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 42 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 27.90 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.41% წინა კვირასთან შედარებით და +1.64% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 120 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 26.95 - 28.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 38 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 10.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.76% წინა კვირასთან შედარებით და +1.96% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 1.9 მლნ აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.14 - 10.48 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 146 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	38.45	1,764	39.6%	40.1%	-3.3%	2.74x	4.58x	4.58x	0.90x	1.15x	0.94x
TBC	TBC	GBP	27.90	1,545	19.7%	28.3%	-1.4%	4.10x	4.75x	4.23x	1.04x	1.15x	0.97x
Halyk Bank	HSBK	USD	14.90	4,063	5.7%	28.4%	-1.7%	2.69x	2.72x	2.67x	0.78x	0.84x	0.71x
Akbank	AKBNK	TRY	36.78	191,256	76.3%	103.7%	0.7%	1.40x	2.71x	2.83x	0.55x	0.94x	0.77x
Garanti	GARAN	TRY	57.40	241,080	70.8%	112.6%	-1.6%	1.91x	3.21x	2.94x	0.73x	1.01x	0.78x
Isbank	ISCTR	TRY	23.18	231,799	62.7%	104.2%	-0.8%	0.84x	3.25x	3.11x	0.60x	0.86x	0.76x
PKO	PKO	PLN	49.74	62,175	38.2%	49.9%	-1.2%	10.98x	8.05x	7.50x	1.03x	1.33x	1.26x
PEKAO	PEO	PLN	147.50	38,714	43.3%	56.1%	-3.0%	na	6.35x	7.19x	na	1.31x	1.24x
Millennium	MIL	PLN	8.30	10,068	49.3%	47.2%	-0.7%	na	3.25x	4.16x	1.04x	1.47x	1.33x
Mbank	MBK	PLN	525.60	22,320	32.5%	56.2%	-1.8%	na	7.67x	6.46x	1.10x	1.55x	1.35x
BRD	BRD	RON	17.38	12,112	27.8%	28.7%	-3.0%	6.81x	7.86x	9.34x	1.31x	1.52x	1.49x
Banca Transilvania	TLV	RON	24.28	19,391	25.8%	31.1%	0.1%	na	7.25x	7.66x	1.60x	1.58x	1.50x
Komercni	KOMB	CZK	738.00	140,256	10.2%	9.3%	1.9%	8.36x	8.91x	9.98x	1.21x	1.07x	1.08x
Mean								4.42x	5.43x	5.59x	0.99x	1.21x	1.09x
Median								2.74x	4.75x	4.58x	1.04x	1.15x	1.08x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საუქმველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ან დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

კვლევები:
ტელ: +995 32 2401 111 (4298)
საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)
საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)